საქართველო

ხულოს მუნიციპალიტეტის მერიის

შიდა აუდიტის და მონიტორინგის სამსახური

ხულოს მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ-ი ხულოს "სახელოვნებო სკოლის"

შიდა აუდიტორული ანგარიში

(01.01.2021წ. - 31.12.2021წ.)

ხულო

2022 წელი

აუდიტის ობიექტი - ა(ა)იპ ხულოს "სახელოვნებო სკოლა"

აუდიტის ობიექტის მისამართი - დაბა ხულო, მალხაზ შავაძის ქუჩა №3

თემა - შესაბამისობის აუდიტი

შესაბამისობის აუდიტის საფუძველი - ხულოს მუნიციპალიტეტის მერიის, 2022 წლის 12 იანვრის № **3/10168988** ბრძანებით დამტკიცებული ხულოს მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის და მონიტორინგის სამსახურის წლიური სამუშაო გეგმა.

აუდიტის განმხორციელებელი - ხულოს მუნიციპალიტეტის გამგეობის შიდა აუდიტის და მონიტორინგის სამსახურის უფროსი ზვიად თავართქილაძე და სამსახურის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი სოფიკო ქონიაძე.

აუდიტის ვადა - 01.03.2022 წელი – 31.03.2022 წელი

აუდიტის პერიოდი - 01.01.2021წელი– 31.12.2021 წელი

ჩვენ ჩავატარეთ ა(ა)იპ ხულოს "სახელოვნებო სკოლის" შესაბამისობის აუდიტი, რომელიც მოიცავს 2021 წლის 1 იანვრიდან 2021 წლის 31 დეკემბრამდე განვლილ პერიოდს.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

ა(ა)იპ ხულოს "სახელოვნებო სკოლის" ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია გაწეული საქმიანობის კანონიერებასა და მიზნობრიობაზე, ნაერთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და მის წარდგენაზე „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების, „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ", საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის "ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ" №364 ბრძანების შესაბამისად.
აღნიშნული პასუხისმგებლობა მოცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვას შენარჩუნებას; რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან თაღლითობით გამოწვეულ უზუსტობებს.

აუდიტორების პასუხისმგებლობა

ჩვენი პასუხისმგებლობაა, ჩვენს მიერ ჩატარებულ აუდიტზე დაყრდნობით გამოვთქვათ მოსაზრება ამ ანგარიშგებაზე. ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ეს სტანდარტები მოითხოვს, რომ ჩვენი სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და აუდიტის იმგვარად დაგეგმვას და ჩატარებას, მივიღოთ გონივრული რწმუნება იმისა, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობებს. მიგვაჩნია, რომ მტკიცებულებები, რომლებიც აუდიტის მსვლელობისას მოვიპოვეთ აუდიტის დასკვნისათვის საკმარის და მართებულ საფუძველს წარმოადგენს.

პირობითი მოსაზრება

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მოქმედი კანონმდებლობის დაცვით და ყველა მნიშვნელოვანი ასპექტის გათვალისწინებით უტყუარად და სამართლიანად ასახავს ა(ა)იპ-ს მდგომარეობას 2021 წლის 1 იანვრიდან 2021 წლის 31 დეკემბრამდე.

საქმიანობის მიმოხილვა:

ხულოს "სახელოვნებო სკოლის" სადამფუძნებლო დოკუმენტაციის კანონმდებლობასთან შესაბამისობის ანალიზი

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - ხულოს „სახელოვნებო სკოლის" დაფუძნებულია ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულო, 2007 წლის 30 მარტის №14 განკარგულებით და იგი არის წევრთა მდგომარეობისაგან დამოუკიდებელი კავშირი. ხულოს მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 4 თებერვლის №01-06/29 ბრძანებით დამტკიცებულია არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - ხულოს "სახელოვნებო სკოლის" (შემდგომში - ,,სახელოვნებო სკოლა") წესდება.

,,სახელოვნებო სკოლა"-ს აქვს საკუთარი ბალანსი, მრგვალი ბეჭედი, ანგარიში საბანკო დაწესებულებაში და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სხვა რეკვიზიტები.

,,სახელოვნებო სკოლა" თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, საქართველოს კანონმდებლობისა და საკუთარი წესდების საფუძველზე.

„სახელოვნებო სკოლა" საკუთარი სახელით ახორციელებს თავის უფლებებსა და მოვალეობებს, ამყარებს საქმიან კონტრაქტებს, როგორც საქართველოს ასავე უცხოეთის ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, დებს გარიგებებს, საკუთარი სახელით შეუძლია გამოვიდეს მოსარჩელედ და მოპასუხედ სასამართლოში.

,,სახელოვნებო სკოლა" შექმნილია განუსაზღვრელი ვადით. ,,საზოგადოების" იურიდიული მისამართია: ხულოს მუნიციპალიტეტი, დაბა ხულო მალხაზ შავაძის ქ.№3.

გამოვლენილია შემდეგი ხარვეზი:

ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებების ხარჯვის მდგომარეობა და კანონიერება

ა(ა)იპი ხულოს "სახელოვნებო სკოლის" 2021 წლის ბალანსის მიხედვით 2021 წლის დამტკიცებული საბიუჯეტო ასიგნებები განისაზღვრა 114 500 ლარით. ამავე პერიოდში მიმდინარე ხარჯის საკასო შესრულებამ შეადგინა 114 335 ლარი. ბიუჯეტის შესრულება შეადგენს 99,6 %-ს.

მუხლობრივ ჭრილში შესრულება შემდეგნაირია:

შრომის ანაზღაურება გათვალისწინებული იყო 71 340 ლარის ასიგნება, გაწეულია საკასო და ფაქტობრივი ხარჯი 71 338 ლარი, ხოლო სხვაობა საკასო ხარჯსა და დამტკიცებულ გეგმას შორის არის 2 ლარი.

საქონელი და მომსახურება მუხლით გეგმით გათვალისწინებული იყო 43 160 ლარის ასიგნება, გაწეულია საკასო ხარჯი 42 997 ლარი. სხვაობა შეადგენს 163 ლარს. აქედან:

მივლინების ხარჯების მუხლით - გეგმით არ იყო ხარჯი გათვალისწინებული.

ოფისის ხარჯი დამტკიცებული ბიუჯეტით შეადგენდა 8 338 ლარს. ხოლო საკასო ხარჯი შეადგენს 8 232 ლარს.

რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯების მუხლით ხარჯი და ფაქტიური ხარჯი შეადგენს 0 ლარს.

სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურეობის მუხლიდან გათვალისწინებული 518 ლარიდან გახარჯულია 538 ლარი

საშტატო სახარჯთაღრიცხვო დისციპლინის აუდიტი:

ა(ა)იპ ხულოს ,,სახელოვნებო სკოლის" 2021 წლის საშტატო განრიგი გეგმით გათვალისწინებული იყო 8 საშტატო ერთეული და 8 შტატგარეშე თანამშრომელი.

სახელმწიფო შესყიდვები.

2021 წელს ხულოს სახელოვნებო სკოლის მიერ განხორციელებულია 30 სახელმწიფო შესყიდვა, მათ შორის 32 გამარტივებული შესყიდვა და 1 კონსოლიდირებული ტენდერი.შემოწმების პერიოდში გამოვლინდა გარკვეული ხარვეზები.

გამარტივებული შესყიდვები განხორციელებულია ბაზრის კვლევის გარეშე, რითაც არა არის გათვალისწინებული, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ გაცემული რეკომენდაციები, გამარტივებული შესყიდვების განხორციელების შესახებ.

შესყიდვების გეგმით CPV კოდი 39700000 (საოჯახო ტექნიკა)) 2021 წელს გათვალისწინებული იყო 395 ლარი გაფორმებულია ხელშეკრულება 545 ლარზე.

შესყიდვების გეგმით CPV კოდი 30200000 (საწმენდი და საპრიალებელი საშუალება) 2021 წელს გათვალისწინებული იყო 300 ლარი გაფორმებულია ხელშეკრულება 328 ლარზე.

გეგმით არ აქვს გათვალისწინებული შესყიდვა მაგრამ ფაქტიურად აქვს შესყიდვა განხორციელებული შემდეგ კოდებზე 64200000 (სატელეკომუნიკაციო მომსახურებები) 37400000 (სპორტული საქონელი და აღჭურვილობა) 18400000 (სპეციალური ტანსაცმელი და აქსესუარები)31400000 (აკუმულატორები...) 31500000 (გასანათებელი მოწყობილობები) 31600000 (ელექტრომოწყობილობები) 37800000 (ხელნაკეთობები...) და ა.შ.

რეკომენდაცია

სახემწიფო შესყიდვები განხორციელდეს "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 "გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" მოთხოვნათა სრული დაცვით.

ხელშეკრულებების გაფორმება მოხდეს შესყიდვების გეგმის მიხედვით საჭიროების შემთხვევაში მოხდეს ცვლილება შესყიდვების გეგმაში და მის შემდეგ გაფორმდეს ხელშეკრულება.

ხელშეკრულებების გაფორმებისას დაცული იქნას ქრონოლოგიურობა და ნუმერაციის თანმიმდევრულობა. ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესასყიდი საქონელის სრული ჩამონათვალი ასახული იქნას დანართში და მიეთითოს CPV კოდი.

სახელმწიფო შესყიდვები განხორციელებამდე, მოხდეს ბაზრის კვლევა და გამოკვეთილი შედეგების შემდგომ განხორციელდეს შესყიდვა.

მატერიალურ ფასეულობათა მიღების, აღრიცხვის, დაცვის და გამოყენების მდგომარეობა

1. 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ხულოს სახელოვნებო სკოლას ბალანსზე ერიცხებოდა ძირითადი საშუალებები ნარჩენი ღირებულებით 11 819 ლარის.
2. სახელოვნებო სკლოლას საანგარიშგებო წლის დასაწყისში ბალანსზე ერიცხებოდა 24 171 ლარის მატერიალური მარაგები. წლის განმავლობაში შესყიდულია 8 980 ლარის და ჩამოწერილია 10 573 ლარის მატერიალური მარაგები. შესაბამისად საანგარიშგებო წლის ბოლოს ნაშთად დარჩენილი აქვს 13 598 ლარის მატერიალური მარაგები.

საინვენტარიზაციო მასალების მონიტორინგის განხორციელების დროს გამოიკვეთა შემდეგი ხარვეზები :

საინვენტარიზაციო კომისიის შექმნის ბრძანება არ არის წარმოდგენილი. თუმცა ჩატარებულია სხდომის ოქმები სადაც ფიქსირდება კომისიის თავმჯდომარე და წევრები.

რეკომენდაცია

ინვენტარიზაციის ჩატარების დროს იხელმძღვანელონ საქართველოს ფინანსთა მინისტრის №605 ბრძანებით ,,საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის" დამტკიცების შესახებ.

საოფისე და საკანცელარიო საქონელი, რომელიც შეძენილია 2021 წლის განმავლობაში, 8232 ლარის პირდაპირ ხარჯებშია გაწერილი ისე, რომ მათ გაცემაზე არა არის გაცემის უწყისები შედგენილი თუ ვის მიერ იქნა გამოყენებული და არც ხარჯვის აქტები არ არის შედგენილი.

რეკომენდაცია

პასუხისმგებელმა პირებმა უზრუნველყონ პირველადი საბუღალტრო დოკუმენტაციის სრულად და კანონის სრული დაცვით წარმოება.

რეკომენდაციებზე რეაგირება.

2021 წელს განხორციელებული აუდიტის შედეგად გაცემულია 2 რეკომენდაცია.მონიტორინგის შედეგად დგინდება რომ ორივე რეკომენდაცია კვლავ რჩება ხარვეზად. წესდება კვლავ იგივე რჩება და შესყიდვებშიც მეორდება წინა წლის გაცემული ხარვეზებზე.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაციები.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ განხორციელდა მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებული არასამეწარმოო (არაკომერციული) იურიდიული პირების მართვის ეფექტიანობის აუდიტი 2021 წლის 22 ნოემბრის N45/36.

სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაცია რომელიც ორგანიზაციამ უნდა გაითვალისწინოს შემდგომ მუშაობისას.

რეკომენდაცია

ა(ა)იპ-ების უმეტესობა დამფუძნებელს არ წარუდგენს ანგარიშს საქმიანობის შედეგების შესახებ ან წარდგენილი ანგარიში ფორმალური ხასიათისაა და არ ასახავს შედეგების მიმოხილვასა და ანალიზს. საქმიანობის ანგარიშებზე დაყრდნობით მუნიციპალიტეტმა უნდა განიხილოს ა(ა)იპ-ების წლიური შედეგები და შეაფასოს საქმიანობა. აღნიშნული ხარვეზი მიუთითებს, რომ მუნიციპალიტეტების მხრიდან არ არის დაწესებული შესაბამისი კონტროლი, რამაც ხელი უნდა შეუწყოს ა(ა)იპ-ების განვითარებას და მათი საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდას.

შიდა აუდიტის და მონიტორინგის

სამსახურის უფროსი: /ზვიად თავართქილაძე/

უფროსი სპეციალისტი: / სოფიკო ქონიაძე/